პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 22 მაისი, 1943 წ. № 111 (6736). ფასი 20 კაპ.

წარმოების საშუალო და პატარა მეთაურები

მშვიდობიანი მშენებლობის წლების განმავლობაში ჩვენს მრეწველობაში გაიზარდნენ და გაიწრთვნენ წარმოების საშუალო და პატარა მეთაურთა მრავალრიცხოვანი კადრები. 1937 წელს კრემლში მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სტახანოველთა მიღებისას ამხანაგი სტალინი ამბობდა — წარმოების პატარა და საშუალო მეთაურები ჩვენ ათეულათასობით გვყავსო.

„ისინი, — აღნიშნავდა მაშინ ამხანაგი სტალინი, — თავმდაბალი ადამიანები არიან, ისინი წინ არ მიძვრებიან, ისინი თითქმის შეუმჩნეველნი არიან. მაგრამ სიბრძნავე იქნებოდა არ შეგვემჩნია ისინი, ვინაიდან ამ ადამიანებზეა დამოკიდებული წარმოების ბედი მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. მაშასადამე, მათზეა დამოკიდებული ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელობის ბედიც“.

ცხადია, რა თქმა უნდა, რომ ამ კადრების არამცირე ნაწილი ახლაც რჩება თავის პოსტებზე. მათი მუშაობა ზურგში, ქარხნებსა და ფაბრიკებში თავდაცვითი მუშაობაა.

მაგრამ ამავე დროს ომის პერიოდში მრეწველობაში გაიზარდნენ და დაწინაურდნენ საშუალო და პატარა ხელმძღვანელთა ახალი მრავალრიცხოვანი კადრები. გუშინდელი კვალიფიციური მუშები, ბრიგადირები გახდნენ ოსტატები, საწარმოო უბნების უფროსები. გუშინდელი ოსტატები და უბნების უფროსები სათავეში ჩაუდგნენ საამქროებს, შახტებს და სხვ. მოხდა წარმოების მეთაურთა კადრების ერთგვარი განახლება. ამ კადრების განსაზღვრულ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს საკმაოდ სრული მოცულობით ტექნიკური ცოდნა, ზედმიწევნით ჯერ კიდევ არ დაუფლებია ხელმძღვანელობის მეთოდს.

ომამდე ჩვენს საწარმოებში არსებობდა ფართო სასწავლო ქსელი, სადაც პატარა და საშუალო მეთაურები მუშაობისაგან თავისუფალ დროს ამაღლებდნენ თავიანთ კვალიფიკაციას, შესაძლებლობა ჰქონდათ გაეფართოებინათ თავიანთი ჰორიზონტი. სოციალისტური შრომის ოსტატთა კურსებზე, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, საწარმოებთან არსებულ სხვადასხვა პროფილის სპეციალურ ტექნიკურ სკოლებში სწავლობდნენ წარმოების ათეულათასობით ორგანიზატორები, რომლებიც თეორიით ამდიდრებდნენ თავიანთ პრაქტიკულ გამოცდილებას.

მაშ რატომ არის, რომ ახლა, როცა საწარმოო სწავლის მთელი ამ სისტემის მწვავე საჭიროებაა, ზოგიერთ საწარმოში ამცირებენ სასწავლო ქსელს? შეიძლება თუ არა ეს ნორმალურ მოვლენად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

ჩვენს სახელმწიფოში მაღალი შეფასება ეძლევა წარმოების საშუალო და პატარა მეთაურთა როლს. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა შორის შეხვდებით ასობით ოსტატებს, განყოფილებათა, საამქროთა უფროსებს, რომლებიც მრეწველობის სულ სხვადასხვა დარგში მუშაობენ. სტალინური პრემიების ლაურეატებს შორის არიან კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ოსტატი ამხ. დმიტრენკო, სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის მეხელსაწყოე ოსტატი ამხ. დავიდოვი და სხვები.

ამასთან ერთად ცნობილია, რომ წარმოების საშუალო და პატარა მეთაურთა შორის, რომლებიც ომის განმავლობაში დაწინაურდნენ და ხელმძღვანელობას ჩაუდგნენ სათავეში, არიან არასაკმაოდ გამოცდილი ადამიანებიც. სრულიად შეუწყნარებელია, როცა, ვთქვათ, საამქროს ოსტატი ან შახტის სამთო ოსტატი, თავისი ნაკლები გამოცდილების, ადამიანთა სათანადოდ ორგანიზების უუნარობის შედეგად, იერიშებისა და ავარიების მეთოდებს მიმართავენ, მრავალ საათს განუწყვეტლივ ატარებენ საამქროში, შახტში. გარეგნული, მოჩვენებითი ენერგიის იქით ზოგჯერ იმალება ხელმძღვანელობის სისუსტე, ნაკლები გამოცდილება.

მაგალითად, კუზნეცკის ქვანახშირის ბასეინის შახტებში არიან ათობით სამთო ოსტატები, უბნების უფროსები, რომლებიც დღე-ღამეების განმავლობაში არ სტოვებენ თავიანთ პოსტებს, ფლანგავენ თავიანთ ძალღონეს, ენერგიას ეგრეთწოდებული „ქვანახშირის ამოღების გადიდების დღეების“ მოსაწყობად და ჩასატარებლად და ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მოაწყონ უკლებლივ ყველა მაღაროელის რიტმული, სრულფასოვანი მუშაობა ლავაში, სანგრევში. ასეთ ადამიანებს უნდა შევასწავლოთ ხელმძღვანელობის ოსტატობა.

ზოგიერთ საწარმოში სდგამენ ნაბიჯებს წარმოების საშუალო და პატარა მეთაურთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ახალ მეთაურთა კადრების მომზადების იმ მეთოდების გამოსაყენებლად, რომლებმაც თავისი თავი გაამართლეს მშვიდობიან დროს. სტალინის სახელობის ავტოქარხანაში ამჟამად მიმდინარეობს ოსტატთა ხელახალი ატესტაცია. შექმნილია ოსტატთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. ამ ქარხნის საამქროებში კვალიფიციურ მუშათა წრიდან შექმნილია ოსტატთა თანაშემწეების ინსტიტუტი. მუშებს სასწავლად ამაგრებენ მაღალკვალიფიციურ ოსტატებზე.

ჩვენი მრეწველობის ბევრ საწარმოში ნერგავენ საწარმოო პროცესის მოწყობის უფრო სრულყოფილ მეთოდებს, მთელი რიგი საწარმოები გადადიან ეგრეთწოდებული ნაკადის სისტემაზე, რომელიც კუსტარულობის ადგილს იჭერს, აჩქარებს საწარმოო ციკლს, შესაძლებლობას იძლევა საუკეთესოდ გამოვიყენოთ მოწყობილობა და მნიშვნელოვნად გავადიდოთ მზა პროდუქციის გამოშვება.

საქმიანობის რა ფართო სარბიელია აქ ჩვენი საშუალო და პატარა მეთაურებისათვის! სამწუხაროდ, ბევრ ადგილას ჯერ კიდევ ვხედავთ ისეთ სურათს, როცა ოსტატები, განყოფილებათა და საამქროთა უფროსები, ყელამდე ჩაფლულნი მიმდინარე მუშაობაში, იერიშობანის ტყვეობაში იმყოფებიან, ვერ გამოუნახავთ დრო იმისათვის, რომ მოიფიქრონ მუშახელის ყველაზე უფრო რაციონალურად განაწილება, ყველაზე უფრო ეფექტური ტექნოლოგიური პროცესის შექმნა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

საწარმოთა დირექტორები, მთავარ სამმართველოთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები და, კერძოდ, პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების დარგობრივი განყოფილებანი ვალდებულნი არიან ყოველდღიურად ჩასწვდნენ წარმოების საშუალო და პატარა მეთაურთა მუშაობას, ყოველნაირად შეუწყონ ხელი ინიციატივის გაშლას, პრაქტიკული გამოცდილების გაფართოებას, დაეხმარონ ამ კადრებს ტექნიკური ცოდნის შეძენაში. უამისოდ წარმოუდგენელია წარმოების შემდგომი წარმატებანი.

საბჭოთა საწარმოში ოსტატები, საამქროს უფროსები მუშათა წინამძღოლები არიან. ისინი აწყობენ საწარმოს, ისინივე არიან შეჯიბრების ორგანიზატორები. იმ მრავალი ქარხნის, ფაბრიკის, შახტისა და მაღაროს წარმატებებში, რომლებიც პირველობას აღწევენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მცირე როლი როდი ეკუთვნით წარმოების პატარა და საშუალო მეთაურებს.

წარმოების გაძლიერებას ხელს უწყობს აგრეთვე შეჯიბრება თვით მეთაურებს შორის. მაგალითად, საავიაციო, სატანკო, საავტომობილო, მეტალურგიულ და მრეწველობის სხვა დარგების ქარხნებში ოსტატთა შეჯიბრება სწარმოებს. გამარჯვებულთ საუკეთესო ოსტატთა წოდება ენიჭებათ, საპატიო სიგელები ეძლევათ.

წარმოების მეთაურთა კადრები, სტალინური ხუთწლედების განმავლობაში, დიდი სამამულო ომის პერიოდში გამოწრთვნილნი და გამოზრდილნი, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მოახმარებენ უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების შესრულებას, ყველაფერს გააკეთებენ, რათა სრულად მოამარაგონ წითელი არმია ყველაფრით, რაც საჭიროა საზიზღარ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად.

„პრავდის“ მოწინავე, 21/V.

რწმუნების სიგელების გადაცემა სსრ კავშირში ბელგიის ელჩ ბ-ნ რ. ვან დე კერშოვ დ' ალებასის მიერ

20 მაისს დღის 12 საათზე კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ბელგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი რ. ვან დე კერშოვ დ'ალებასი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ბ-ნ რ. ვან დე კერშოვ დ'ალებასს ახლდნენ საელჩოს სამხედრო ატაშე პოდპოლკოვნიკი ე. სიმონი და საელჩოს ატაშე ბ-ნი ე. ფელტენი, რომელნიც ელჩმა წარუდგინა ამხ. მ. ი. კალინინს.

რწმუნების სიგელების გადაცემა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინისათვის კუბის დელეგან ბ-ნ ა. კონჩესოს მიერ

21 მაისს დღის 12 საათზე კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო საგანგებო დელეგანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კონჩესო, რომელმაც გადასცა რწმუნების სიგელი.

ბ-ნ ა. კონჩესოს ახლდა მისიის მრჩეველი ბ-ნი რ. ერერა არანგო, რომელიც დელეგანმა წარუდგინა ამხ. მ. ი. კალინინს.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კუბის დელეგანი ბ-ნი ა. კონჩესო

20 მაისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კუბის საგანგებო დელეგანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კონჩესო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის მის მიერ თავისი რწმუნების სიგელების მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

21 მაისის დილის ცნობა

20 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენს ნაწილებს ცეცხლითი ბრძოლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან. არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 12 ძელმწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი, ჩაეხუმბურა მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეა.

ჩვენმა მფრინავებმა და საზენიტო არტილერიამ გერმანელთა 4 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

***

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა გაელიტეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 2 ქვეშეხი და ჩაეხუმეს მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარეა. ჩასაფრებულმა სნაიპერთა ჯგუფმა უფროს სერჟანტ შუმილინის მეთაურობით ორ დღეში 43 ჰიტლერელი გაელიტა. წითელარმიელმა სნაიპერმა ამხ. მიგუნკოვმა 6 გერმანელი მოჰკლა, სნაიპერმა სერჟანტმა ამხ. პოპოვმა მოსპო 4 გერმანელი.

***

სევსკის რაიონში მზვერავთა ჯგუფი უფროს ლეიტენანტ კოლბასინის მეთაურობით ღამე თავს დაესხა მოწინააღმდეგის საყარაულო რაზმს. საბჭოთა მებრძოლებმა მოსპეს 17 გერმანელი, ერთი დაზგის ტყვიამფრქვევი და ხელთ იგდეს ნინმვნელოვანი საბუთები. დაზვერვამ გამოარკვია, რომ მტრის ზურგში რკინიგზის სადგურზე ჯარისა და საომარი მასალის ეშელონი მოვიდა. ჩვენმა მოიერიშე მფრინავებმა იერიშიმიიტანეს მტრის ეშელონზე მისი გადმოტვირთვის დროს და ბომბებით გაანადგურეს იგი.

***

დონის როსტოვის დასავლეთით კანტიკუნტი საარტილერიო სროლა გრძელდებოდა. ჩვენმა არტილერიამ დაანგრია მოწინააღმდეგის 3 ძელმწური საცეცხლე წერტილი და 2 სათვალთვალო პუნქტი, ააფეთქა საომარი მასალის ერთი საწყობი და წარმატებით დაუშინა რამდენიმე ბატარიას.

***

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი არტილერიის მიერ და ავიაციის შეტევითი მოქმედებით ჩაჩუმებულია რამდენიმე საარტილერიო ბატარია, აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი, გაფანტული და ნაწილობრივ გაელიტილია მოწინააღმდეგის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ლენინგრადის მისადგომებთან საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა ავიაგამანადგურებელი.

***

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს და 40 ჰიტლერელი გაელიტა. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს ერთი საწყობი მარცვლეული და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთან და დაბების მუშებს დაურიგეს 2.000 ცენტნერი პური.

***

გერმანიის 134-ე ქვეითი დივიზიის 445-ე პოლკის მე-11 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა არტურ შმიდტმა განაცხადა: „1942 წლის შემოდგომამდე 23-ე ქვეითის დივიზიაში ვმსახურობდი. ბევრ ბრძოლაში მივიღე მონაწილეობა, ბრძოლაში ვიყავი მოსკოვთან გერმანიის ჯარების განადგურების დროსაც. ამასწინათ 445-ე პოლკში მოვხვედი. განმაცვიფრა ჯარისკაცთა უმრავლესობის სულიერად დაცემამ. ახლანდელი გერმანელი ჯარისკაცი ის აღარ არის, რაც 1941 წელს იყო. ჯარისკაცებს, რომელთაც რუსების მიერ მიყენებული გამანადგურებელი დარტყმები გამოსცადეს, საბოლოოდ დაეკარგათ გერმანიის გამარჯვების რწმენა. ისინი სტალინგრადის, როსტოვის, კურსკის, ველიკიე ლუკის, რჟევისა და სხვა მაგალითებს აღნიშნავენ. ტოტალური მობილიზაციის წარმატება არავის არა სჯერა. ზოგიერთი ჯარისკაცის აზრით, ამ მობილიზაციას უკეთეს შემთხვევაში შეუძლია მხოლოდ მცირე ხანით გადასდოს გერმანიის გარდუვალი დამარცხება“.

***

ქალაქ კურსკის მცხოვრები თამარ ბ. ძალით იყო წაყვანილი გერმანიაში ექსტრიულ სამუშაოზე. იგი ინვალიდი დაბრუნდა სამშობლოში; ან განაცხადა: „გერმანელებმა მე, ჩემი და და ბევრი სრულიად ჯანსაღი და ენერგიით სავსე ქალიშვილი გადგიყვეს გერმანიაში. იქ რომ ჩავედით, ბარაკებში მოგვათავსეს, რომლებსაც სამრიგად ჭრნდა შემოვლებული ეკლიანი მავთული. მე და ჩემი და, აგრეთვე კურსკელი რიმა და სონია ფაბრიკაში მოვხვედით. დაიწყო მძიმე ტანჯვის დღეები. აუტანელი შრომა გეტანჯავდა, ყოველგვარ გაჭირვებასა და დამცირებას ვიტანდით. ჩვენ დაგვირიგეს ტომრის ხალათები, რომლებზედაც აღნიშნული იყო „ოსტ“, და ხის ფეხსაცმელი. მანამდე გვამუშავებდნენ, სანამ არ დავეცემოდით, საჭმელად კი რაღაც ნაწუწს გვაძლევდნენ. ერთ თვეში ჯანმრთელობა დავკარგე, ავად გავხდი და საარულიც კი აღარ შემეძლო. მე არა მმკურნალობდნენ, მარტო ქალაღი მომცეს, რომ უკანვე მგზავნიან სამშობლოში, როგორც უვარგისს. ჩემი და გერმანელთა ტყვეობაში დარჩა. მისი წერილი მოგვივიდა. იგი მწერდა: „ისევე ვცხოვრობ, როგორც შენს აქ ყოფნაში ვცხოვრობდი. დღე არ გავა, რომ არ ვიტირო. მეტად მიმძიმს აქ ყოფნა... ჩემი ძველი ცხოვრება რომ მაგონდება, ვფიქრობ: ნუთუ კიდევ დიდხანს მომიხდება აქ ყოფნა-მეთქი? ყველაფერი აკრძალული გვაქვს. ოთხ კედელშია ვსხედვართ პატიმრებივით და დაუსვენებლივ ვმუშაობთ“.

ძვირფასო ამხანაგებო, წითელი არმიის მებრძოლებო და მეთაურებო! შური იძიეთ საბჭოთა ადამიანების ტანჯვისათვის, ჩვენი დებისა და ძმებისათვის! გაანთავისუფლეთ ისინი ფაშისტთა ტყვეობიდან!“

21 მაისის საღამოს ცნობა

21 მაისს განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემებმა და ავიაციამ ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტორპედიანი კატერი და სადარაჯო გემი.

• • •

20 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 4 ტანკი, 60-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაზვრეს საწყობი საწვავიანად, დაამსხვრიეს რკინიგზის ეშელონი და ჩაახშეს მტრის 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

• • •

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები დაკავებულ პოზიციებს ამაგრებდნენ და საარტილერიო სროლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან. 5 ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს მოწინააღმდეგის ორი ბლინდაჟი, 2 სათვალთვალო პუნქტი და ჩაახშეს 6 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 5 თვითმფრინავი.

• • •

სევსკის რაიონში საბჭოთა არტილერიამ რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოაწყო მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებზე. გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია 2 ბატალიონამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე დაზვერვამ აღმოაჩინა გერმანელთა 60 შენიღბული ტანკი. ჩვენმა არტილერიამ სროლა აუტეხა ამ რაიონს. სამიზნოს რაიონში აღნიშნულია ბევრი ხანძარი და აფეთქებანი.

• • •

ჯალინინის ფრონტზე იმ ნაწილის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ბოგდანოვი, ჩაახშეს რამდენიმე სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, დაანგრიეს მტრის 5 ბლინდაჟი და მოსპეს 4 ავტომანქანა. იმ ნაწილის სნაიპერებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. გოლუბევი, 78 ჰიტლერელი გაელიტეს.

• • •

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი ნაწილები ღუშენდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს. საბჭოთა არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 11 ძელმწური საცეცხლე წერტილი და 4 სათვალთვალო პუნქტი, მოსპობილია 4 ავტომანქანა და 9 საზიდარი ტვირთიანად. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით და სანაღმტყორცნო ცეცხლით გაელიტილია 80-ზე მეტი ჰიტლერელი.

• • •

ყიტომირის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა დანაღმა რკინიგზის ლიანდაგის უბანი. პარტიზანების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა გერმანელთა სამხედრო ეშელონი. მოსპობილია ორთქლმავალი და 17 ვაგონი საომარ მასალიანად. მარცხისა და აფეთქებათა შედეგად რკინიგზის ამ უბანზე მატარებელთა მიმოსვლა რამდენიმე დღით შესწყდა. შორსის სახელობის რაზმის პარტიზანებმა 17 მაისს ლიანდაგიდან გადაგდეს გერმანიაში მიმავალი ეშელონი სურსათიანად.

• • •

ტყვედ წამოყვანილმა ფინელთა მე-3 ქვეითი ბრიგადის მე-4 ბატალიონის მე-15 ასეულის ჯარისკაცმა მაური ილმარი მიანისტემ განაცხადა: „ერთი თვის განმავლობაში მე-15 ასეულმა რუსი სნაიპერების ცეცხლისაგან 15 კაცი დაჰკარგა მოკლულთა სახით. აპრილის დამდეგს, როცა სერჟანტი ბატალიონენი და ერთი ოცეულის მეთაური დაიჭრნენ აფეთქებული ნაღმის ნამტვრევებით, ოცეულმა უარი სთქვა ეზიდა მავთული წინა კიდეზე. ჯარის დამლეგს მეორე ბატალიონმა შეტევა დაიწყო რუსების პოზიციების წინააღმდეგ. ჩვენი ბატალიონის ჯარისკაცები მეტად ნერვიულობდნენ და შიშობდნენ, რომ მალე ჩვენც ვაგვრეკდნენ ბრძოლაში, რათა დაიბრუნებინათ მაღლობები, რომელნიც რუსებმა ჯერ კიდევ შარშან დაიკავეს. როცა გაიგეს, რომ მეორე ბატალიონის ოპერაცია ჩაიშალა, ყველა მეტად კმაყოფილი იყო. ამ ბრძოლებში მეორე ბატალიონმა 200 კაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ბევრი ჯარისკაცი ფიქრობს, რომ, რაც უფრო მალე დამარცხდება გერმანია, მით უფრო მალე დამთავრდება ომი“.

• • •

პოლონელი პატრიოტები აძლიერებენ ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. კელცის მაზრაში პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს გერმანელთა ყაზარმებს, ასარგებლეს შექმნილი პანიკით და ხელთ იგდეს ბევრი იარაღი. ლიუბლინის რაიონში რკინიგზელებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა ეშელონი ჯარებიანად და საჭონლის მატარებელი სამხედრო ტვირთიანად. რადომში პოლონელთა ჯგუფმა რამდენიმე გრანატი შეაგდო იმ შენობაში, სადაც მრავალი გერმანელი მოხელე და პოლიციელი იყო. მოკლული და დაჭრილია 50-ზე მეტი ჰიტლერელი. მოკლულთა შორის არიან გერმანელთა პოლიციის უფროსი, გერმანელი ბურგომისტრი და სხვები. კრაკოვში პარტიზანებმა დღისით მოჰკლეს სამი გერმანელი ოფიცერი, რომელნიც მანქანით მიდიოდნენ.

ფართოდ გავშალოთ მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება

მეჯი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ამოღებისათვის

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე ტყვარჩელის მაღაროელებმა გაძლიერეს ქვანახშირის ამოღების ტემპები, მათ აპრილის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ტყვარჩელის ათეული და ასეული მოწინავე მაღაროელი ფრონტული თავდადებით მუშაობს. ომიანობის დროის სტახანოველთა რიგებში არიან მბურღავი ორდენოსანი პ. ზვერევი, აბზმენდი ი. სემენიხინი, ა. ბესარაბი, მებიგე დ. ავიძა და ბევრი სხვა, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად ტყვარჩელელმა მაღაროელებმა გადასწყვიტეს გააორკეცონ თავიანთი ენერგია და მიაღწიონ ქვანახშირის ამოღების ახალ ზრდას, კიდევ უფრო ნძლავრად, უფრო უკეთესად დაეხმარონ მშობლიურ წითელ არმიას ვერაგი მტრის—პირსისხლიანი ფაშიზმის დაჩქარებით განადგურებაში.

ამ დღეებში ტყვარჩელში ჩატარდა სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის კრება, რომელზეც მაღაროელებმა მიიღეს გადაწყვეტილება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ ტყიბულის მაღაროელები. ამასთან დაკავშირებით კრებაზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა მეშახტეებმა ახალი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს.

მიმართეს რა მოწოდებით ტყიბულის მაღაროელებს სოციშეჯიბრებაში ჩაბმაზე, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ნუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს ვალდებულება — 1943 წლისათვის ნთლიანად შეასრულონ ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმა და გეგმის გადამეტებით წითელი არმიის მთავარსარდლობის განსაკუთრებული ფონდისათვის ამოიღონ 12.000 ტონა ქვანახშირი, აგრეთვე გმირი სტალინგრადელებისათვის გაგზავნონ სამი ეშელონი ქვანახშირი; ვადამდე—20 დეკემბრისათვის შეასრულონ მოსამზადებელი სამუშაოების წლიური დავალება, სტახანოვური მეთოდების დანერგვით გაზარდონ მუშათა შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით და სხვ.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება ხმელთაშუა ზღვის ბასეინში

ლონდონი, 21 მაისი (საკადისი). შტაბი ინგლისის სამხედრო საჰაერო ძალებისა მალტაზე იუწყება, რომ წუხელ საზღვაო ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის გემების ქარავანზე კუნძულ პანტელერიასა და მარიტიმოს შუა.

რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ მოკავშირეთა ჩრდილო აფრიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენები დღის განმავლობაში თავს ესხმოდნენ აეროდრომებს, ნავსადგურებსა და რკინიგზებს სარდინიაში, იტალიაში და კუნძულ პანტელერიაზე. ამ თავდასხმების შედეგად მოსპობილია მოწინააღმდეგის 113 თვითმფრინავი, აქედან 91—აეროდრომებზე და 22—საჰაერო ბრძოლებში. მოკავშირეთა ავიაციამ მხოლოდ ერთი თვითმფრინავი დაჰკარგა.

გაერთიანებულ ერთა კონფერენცია ომისშემდგომი დროის სასურსათო საკითხებზე

ჰოტ სპრინგსი (ვირგინიის შტატი), 19 მაისი (საკადისი). ომისშემდგომი დროის სასურსათო საკითხთა შესახებ გაერთიანებულ ერთა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე კონფერენციის თუმცა თავმჯდომარედ აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის თავმჯდომარე ჯონსი. კონფერენციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწონა წინადადება იმის შესახებ, რომ კონფერენციის სხდომა გადაიდოს არა უგვიანეს, ვიდრე 3 ივნისამდე. კონფერენციამ სექციური მუშაობა დაიწყო. შეიქმნა სექციები შემდეგ საკითხებზე: მოხმარების ნორმები და სურსათის მოთხოვნილების დადგენა, წარმოების გაფართოება და მოხმარების საჭიროებისაგან მისი მომარჯვება, სურსათის განაწილების წესების გაუმჯობესება, აგრეთვე სექცია, რომელმაც უნდა დაამუშაოს წინადადებანი კონფერენციის შემდგომი მუშაობის წესრიგის შესახებ.

ქართველ მებრძოლთა მოწოდებას მშრომელები უპასუხებენ საბრძოლო საქმეებით

ფრონტისა და ზურგის ერთიანობის მკაფიო დემონსტრაცია

19 მაისს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მიტინგზე ფაბრიკის პარტბიურის მდივნის მოადგილემ ამხ. ნოვიკმა დამსწრეთ წაუკითხა ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებისადმი და გააცნო მათ „პრავდის“ 16 მაისის მეთაური.

ქართველი მებრძოლების მგზნებარე პატრიოტულმა წერილმა შრომითი აღფრთოვანება და საყოველთაო სიხარული გამოიწვია თბილისელ მაუდელებს შორის.

მიტინგზე, რომელიც ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა, პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა საქსოვი სამქროს მოსამზადებელი გახყოფილების ცვლის ოსტატმა ეენია ჯავახიშვილმა. თავისი განყოფილების სახელით ამხ. ჯავახიშვილმა იკისრა მაისის გეგმა 110 პროცენტით შეასრულოს.

კამვოლური საამქროს მუშამ ალექსანდრა ტარაევამ ილაპარაკა „ერთ- და ერთგული ხალხების ერთგულ მეგობრებზე, ხალხთა ლენინ-სტალინური მეგობრობაზე. შან მოიწოდა საამქროსა და მთელი ფაბრიკის მუშებს, კიდევ უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება.

მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: სამამულო ომის ფრონტზე მებრძოლ ჩვენს ძვირფას მამებს, ძმებსა და ქმრებს პირობას ვაძლევთ—გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის სრული განადგურებისათვის. ვკისრულობთ ვადამდე ორი დღით ადრე შევასრულოთ მაისის გეგმა, გავსწოროთ მაისში ნედლი მასალის ეკონომია 3 ტონის რაოდენობით, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება გეგმის გარეშე 1 პროცენტით და უმოკლეს ვადაში შევასწავლოთ საწარმოო პროფესია ფაბრიკაში ახალმოსულ სამხედრო მსახურთა ოჯახის წევრებს.

ყველაფერი მზრის გასანადგურებლად

— მტკიცე სიტყვას გაძლევთ, ჩვენო საყვარელო ძმებო, შვილებო და მამებო, ფრონტზე მყოფო მებრძოლებო, რომ თბილისის საორთქლმავლო დეპოს მთელი კოლექტივი კიდევ უფრო უკეთესად იმუშავებს და ყოველმხრივ დაგეხმარებათ საძულველი მტრის ურდოების განადგურებაში. ჩვენ ვკისრულობთ მაისის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვათ აწევითი რემონტიდან 1 ორთქლმავალი, გარეცხვითი რემონტიდან—8 ორთქლმავალი, 20 პროცენტით გავზარდოთ მაისში შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ საწარმოო გეგმის შესრულების ყველა ძველ მაჩვენებლებს.

კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას

ბათუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბათუმის საწარმოებში, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტზე უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი ქართველ მებრძოლთა წერილისადმი.

„ბლაგნეფტის“ ბათუმის ბაზის მუშაკთა მიტინგზე უსტყვით გამოსულმა სტახანოველმა გ. სალუქვაძემ განაცხადა:

ქართველმა მებრძოლებმა საქართველოს მშრომელებს მოგვმართეს წერილით და მოგვიწოდეს გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება. ამ მოწოდებას ჩვენ კონკრეტული საქმეებით ვუპასუხებთ. მე ვკისრულობ ვალდებულებას ორჯერ შევამცირო ნავთობის ჩამოსხმისათვის განკუთვნილი დრო და მივაღწიო დანაკარგების სრულ ლიკვიდაციას.

— ქართველ მებრძოლთა წერილი,—სთქვა სტახანოველმა ზეინკლმა ამხ. რ. სარქისოვმა,—მიმართულია საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელისადმი. ვალდებულებას ვკისრულობ ვადაზე ადრე დავამთავრო რემონტი და 150 პროცენტით შევასრულო მაისის საწარმოო დავალება.

აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართველ მებრძოლთა წერილს ბათუმელი რკინიგზელები. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ისინი პირობას იძლევიან 120 პროცენტით შეასრულონ საწარმოო დავალება.

— კიდევ უფრო გავზრდით შრომის ნაყო

ჩერჩილის გამოსვლა ა. შ. შეაჯეების კონგრესის სხდომაზე

ლონდონი, 19 მაისი (საკადესი). რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა ა. შ. შტატების სენატისა და პალატის წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე. კონგრესი მას აპლოდისმენტებით შეხვდა, რამაც რამდენიმე წუთს გასტანა.

ჩერჩილმა მოიგონა, რომ ჩვიდმეტმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც იგი უკანასკნელად გამოვიდა კონგრესის სხდომაზე. „ხუთასი დღის განმავლობაში ჩვენ მძიმე შრომას ვეწეოდით, ვიტანჯებოდით და მამაცურად ვმოქმედებდით მხარდამხარ ბრძოლაში სასტიკი და მძლავრი მტრის წინააღმდეგ,—სთქვა მან.—ჩვენ ვმოქმედებდით მჭიდრო თანამშრომლობით მსოფლიოს ბევრ ნაწილში, ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. როდესაც უკანასკნელად აქ მოვედი, შეერთებული შტატები აღსავსენი იყვნენ ჭრისხანებით პირლ-ჰარბორზე იაპონიის ვერაგული თავდასხმის გამო და აღელვებული იყვნენ გერმანიისა და იტალიის მიერ შეერთებული შტატებისათვის ომის გამოცხადებით. მე ვიტყვი სავსებით გულახდილად, რომ იმ დღეებში, როდესაც ჩვენ უკვე ვეწეოდით ხანგრძლივ ბრძოლას და ერთი წლის განმავლობაში მას მარტონი ვეწეოდით, მე არ შემეძლო არ განმეცადა შეშფოთებულების გრძნობა, იმ შეგნებით გამოწვეული, რომ ჩვენ დაკავშირებული გავხდით საერთო საფრთხით, ღრმა რწმენითა და მაღალი მიზნით—ბოლომდე მივიყვანოთ ეს საშინელი ბრძოლა, რადაც უნდა დაგვიჯდეს. ხანგრძლივი ცხოვრების გამოცდილებამ და ჩემმა გულისხმამ ჩემში წარმოშვეს იმის ღრმა რწმენა, რომ მომავალი მსოფლიოსათვის იმაზე უფრო აღმნშვნელოვანი არა არის რა, ვიდრე ჩვენი ორი ხალხის ძმური კავშირი როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს.

ნება მიბოძეთ აქ შემდეგი მოგახსენოთ: ბუერავინ იფიქრებს, რომ ჩვენ, ინგლისელები, იმდენადვე არ ვიყოთ დაინტერესებული, როგორც შეერთებული შტატები იმით, რომ განუწყვეტლად და დაუღალავად ვაწარმოოთ ომი იაპონიის წინააღმდეგ. მე აქ ჩამოვედი იმისათვის, რათა გითხრათ, რომ ჩვენ განვაგრძობთ ამ ომს თქვენთან ხელიხელჩაკიდებულნი ისე, როგორც ამას ჩვენი ძალების საუკეთესო სტრატეგიული გამოყენების ინტერესები მოითხოვენ, მანამდე, სანამ ჩვენი მკერდი სუნთქავს და ჩვენს ძარღვებში სისხლი სჩქეფს. რა თქმა უნდა, იაპონიის წინააღმდეგ ომში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ იმ დიდი სახმელეთო არმიამ და საჰაერო და საზღვაო ძალებმა, რომლებიც ინგლისის მიერ კონცენტრირებული არიან ინდოეთის აღმოსავლეთ საზღვარზე. მსოფლიოს ამ ნაწილში შექმნილია ჩინეთისათვის დახმარების აღმოჩენის ერთ-ერთი შესაძლებლობა, ჩინეთისათვის, რომელიც ბარწყუხებში იმყოფება და ტანჯვის განიცდის უკვე დიდი ხნის განმავლობაში. ჩინეთისათვის დაუყოვნებელი ეფექტიანი დახმარების გაწევა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე უფრო აუცილებელი საერთო ამოცანაა.

1942 წლის იანვარში მომხდარი თათბირის დროს, რომელიც პრეზიდენტსა და ჩემს და ჩვენს უმაღლეს ტექნიკურ მრჩევლებს შორის სწარმოებდა, ჩვენთვის ცხადი იყო, რომ იაპონიის დამარცხება გერმანიის დამარცხების მომასწავებელი არ იქნებოდა, მაგრამ გერმანიის განადგურება აუცილებლად იქნებოდა იაპონიის კრახის მომასწავებელი. ამ უბრალო ჭეშმარიტების შეგნება იმას რიდი ნიშნავს, რომ ერთდროულად ორივე მხრიდან არ ვიმოქმედოთ, და. მართლაც, შეერთებული შტატების ძალთა დიდი ნაწილი ამჟამად გამოყენებულია წყნარი ოკეანის ფრონტებზე. ფუნქციათა იმ საერთო განაწილების შესაბამისად, რაც ჩვენ 1942 წლის იანვარში ჩატარებული მუშაობის შედეგად მივიღეთ, შეერთებულმა შტატებმა აკისრეს მთავარი ამოცანა იაპონიის წინააღმდეგ ომის წარმოებისა და ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისათვის დახმარების გაწევისა მთის თავდაცვაში იაპონის შეჭრის წინააღმდეგ, რაც მაშინ მნიშვნელოვნად უფრო ახლოს გვეჩვენებოდა. ვიდრე ამჟამად. ჩვენ კი ატლანტიკაში ბრძოლის მთავარი ტვირთი ვიკისრეთ. ეს ბუნებრივი იყო, ვინაიდან, თუ ის ძირითადი საოკეანო გზა, რომელიც ჩვენს ორ ხალხს აერთებს, ხელუხლებლად არ იქნებოდა დაცული, მაშინ ბრიტანეთის კუნძულები და ის ფრიად დიდი ძალები, რომლებიც იქ იმყოფებიან, პარალიზებული იქნებოდნენ, და მათი დაღუპვა გარდუვალი იქნებოდა. ჩვენ ხალისით სავსებით განვახორციელეთ ჩვენი ამოცანა.

თუმცა მე მომაჩნია, რომ ის საფრთხე, რაც ჩვენთვის წყალქვეშა ნავები წარმოადგენენ, წინანდებურად უაღრესად დიდია, მე მჯერა, რწმენით ვგონია, რომ ეს საფრთხე არ მარტო უკუგდებულ, არამედ აღმოფხვრილიც იქნება.

ბრიტანეთის კუნძულებიდან ჩვენ ავრეთვე ძირითად საჰაერო შეტევას ვეწევით გერმანიის წინააღმდეგ, და ამაში ბრწყინვალე დახმარებას გვიწევს ა. შ. შტატების ავიაცია, რომელიც შეერთებულ სამეფოდან ნოქმედებს. იგი უმთავრესად ღღისით მოქმედებს, ჩვენი ავიაცია კი—ღამით.

არავითარი ეჭვი **არ არის** იმაში, რომ მოკავშირეთა ავიაცია უკვე მნიშვნელოვნად სჭარბობს რიცხვობრივად გერმანიის, იტალიისა და იაპონიის საჰაერო ძალებს. ხოლო ახალი თვითმფრინავების წარმოება მოკავშირეთა ქვეყნებში კიდევ უფრო მეტად სჭარბობს მტრის თვითმფრინავთა წარმოებას. ეწოდნენ რა ამ საჰაერო ომს, გერმანია და იაპონია გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ გადამწყვეტ და საბოლოო დარტყმებს გვაგებებდნენ ისე, რომ დაშინებდნენ დიდ ინგლისელ ერებს და აიძულებდნენ დამორჩილებოდნენ მათს ნებისყოფას. ეს სწორედ ამ საჰაერო ომში დანაშაულებრივი ერები იწყებენ სასიკვდილო დაღლილობის პირველი ნიშნების გამოჩენას.

გერმანიის სამხედრო მრეწველობის დიდი ცენტრები, და კერძოდ რური, უმაგალითო გაპარტახებას განიცდიან.

სადაც უნდა იმყოფებოდნენ და სადაც უნდა ვითარდებოდნენ ეს სამრეწველო ცენტრები, ისინი განადგურებულ იქნებიან, ხოლო საჭურველის წარმოებაში ჩაბნეული მოსახლეობა გაფანტულ იქნება. თუ მას არ მოსწონს ის, რაც მას მოელის, ადრევე გაიფანტოს თავისი ნებით. ეს პროცესი გაგრძელდება განუწყვეტლივ, ბომბების წონისა და დარტყმის ინტენსივობის მუდმივი გადიდებით მანამდე, სანამ გერმანელი და იტალიელი ხალხები უარს არ იტყვიან და არ დაამხობენ საშინელ ტირანიას, რომელიც წარმოიშვა და გაიზარდა თითოეულ მათგანში. ჯერჯერობით კი ჩვენი საჰაერო შეტევა გერმანიას აიძულებს სულ უფრო მზარდი პროპორციით მოაშოროს თავისი საბრძოლო საშუალებანი ფრონტებს საჰაერო თავდასხმისაგან დაცვის მოსაწყობად.

ჩვენ აგრეთვე თანახმანი ვართ იმაში, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დავატეხოთ თავს მთელი ჩვენი გაერთიანებული საჰაერო ძალიერება იაპონიის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ობიექტებს. იაპონიის მთავრობის მიერ ამერიკელ მფრინავთა გულგრილი დაზერება ნოწმობს არა მარტო მის ბარბაროსობას, არამედ მის პანიკურ შიშსაც ამგვარი თავდასხმების შესაძლებლობის წინაშე. იმათ წინაშე, ვისაც მინდობილი აქვს ომის ხელმძღვანელობა, დგას ამოცანა რაც შეიძლება მალე გადალახონ სამხედრო, გეოგრაფიული და პოლიტიკური სიძნელენი და დაიწყონ იაპონიის ქალაქებისა და სამხედრო ცენტრების ნანგრევებად გადაქცევის საქმირო და სასურველი პროცესი, ვინაიდან ისინი ნანგრევებად უნდა იქნან გადაქცეულნი იმისათვის, რომ მშვიდობიანობა კვლავ გამეფდეს მთელ მსოფლიოში.

დიდი პრობლემა, რომელიც ამჟამად დგას ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე და რამდენადმე უფრო მეცრედ ინგლისის წინაშე, მდგომარეობს არა იმდენად არმიების შექმნაში ან იარაღის და თვითმფრინავების წარმოებაში რეფორ გაფართოებაში, ვინაიდან ეს. წარმოება უკვე სრული სიჩქარით მიმდინარეობს და უკვე მიღწეულია უდიდესი წარმატებანი და საუცხოო შედეგები, რამდენადაც იმაში—თუ რანაირად გამოვიყენოთ ძალები ნაყიდია ამ მრავალრიცხოვანი არმიების დაღუპვის ფასად. თავს ნუ მოიტყუებენ ილუზიებით! სხვა ოპერაციები, რომლებიც სათანადო მომენტში განვითარდებიან და რომელთა განხორციელებაც დამოკიდებულია მრავალ ჯარისკაცთა გაწვრთნასა და ტექნიკურ საშუალებთა დიდძალი მასის მიტანაზე, ოდნავაც არ შეფერხებულა ჩრდილოეთ ტუნისში მომხდარი შეუპოვარი ბრძოლებით.

ბატონო პრეზიდენტო, ომი აფრიკაში დამთავრებულია. მუსოლინის აფრიკის იმპერია და ეფრეიტორ ჰიტლერის სტრატეგია ერთნაირად ჩაიფუშენ. ყოველ შემთხვევაში, ერთი კონტინენტი სამუდამოდ გაწმენდილია ფაშისტური და ნაცისტური ტირანიისაგან.

ორი დიქტატორის აფრიკის ეშკაკურსიები მათს ქვეყნებს 950.000 მოკლულ და ტყვედ წამოყვანილ ჯარისკაცად დაუჯდათ. გარდა ამისა, ჩაძარცულია თითქმის 2.400.000 ტონა წყალწყვის სავაჭრო გემები და მოსობილია 8.000-მდე თვითმფრინავი. ამ უკანასკნელ ორ ციფრში არ შედის დიდძალი დაზიანებული გემი და თვითმფრინავი. მტერმა დაჭკარგა აგრეთვე 6.200 ქვემეხი, 2.550 ტანკი და 70.000 ავტომანქანა. ასეთია მოწინააღმდეგის ზარალი ომის სამი წლის განმავლობაში. და რა აღმოჩნდა ახლა, როდესაც ამ წლებმა გაიარა? გერმანიის ყოყლოჩინა არმიამ თავისი უეცარი კრახით, რაც ყველა ჩვენგანისათვის მოულოდნელი იყო, კვლავ დაადასტურა შემდეგი თქმულების სამართლიანობა: „ჰუნი ან ყელში გწვდებათ, ან თქვენ ფეხქვეშ გდია“. ამ გარემოებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მომავალზე. რაც ჩვენ შეგვეხება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის გარკვეულ ეტაპს მივაღწიეთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი კონტინენტი განთავისუფლებულია. ჩრდილო - დასავლეთ აფრიკაში წარმოებული კამპანია და განსაკუთრებით მისი დამთავრება ტუნისში სამი სხვადასხვა ქვეყნის ჯარების თანამშრომლობისა და საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ძალების წარმოშვა იმის რწმენა, რომ თუ ისინი შემდგომაც ასე იმოქმედებენ, მაშინ, არა მგონია მათთვის რაიმე განუხორციელებელი აღმოჩნდეს როგორც სამხედრო დარგში, ისე მშვიდობიანობის უფრო ნაკლებ რთულ პრობლემათა დარგშიც.

ისტორია ამ გამარჯვებას გვერდში ამოუკენებს ყველაზე დიდ გამარჯვებებს, როგორც ინის კლასიკურ მაგალითს, თუ როგორ უნდა მიიტანო მტერზე იერიში ჩვენ მიერ არჩეულ მომენტსა და ჩვენ მიერ არჩეულ პუნქტში. ჩვენ შემოგვიერთდნენ მამაც ფრანგთა ნაწილები, რომლებიც ახლა იქცევიან მძლავრ არნიად გენერალ ჟიროს მამაცური ხელმძღვანელობით.

ჩვენ მტერს ვაგემეთ ისეთი დარტყმა, რომელიც სტალინგრადთან ნაგემებ დარტყმას უდრის, დარტყმა, რაც უაღრესად სასარგებლოა ჩვენი გმირი რუსი მოკავშირეებისათვის, რომლებიც გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან. ყოველივე ეს უარჰყოფს ნაცისტებისა და ფაშისტების მტკიცებას, თითქოს პარლამენტარულ დემოკრატიულ ქვეყნებს უნარი არ შესწევთ ომის ეფექტიანი წარმოებისა. ახლა ჩვენ მთ ამის სხვა დამამტკიცებელ საბუთებსაც მივცემთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენ უკეთესად ვმოქმედებდით, ვიდრე თვითონ მოველოდით. ჩვენი გეგმების განხორციელებას ხელი შეუწყეს მოულოდნელმა მომენტებმა, რომლებმაც ბევრად გაადიდეს ამ გეგმების ცხოვრებაში გატარების შედეგები. ჩვენ ამისათვის მადლიერი ვართ ეფრეიტორ ჰიტლერის ინტუიციისა (**ხანგრძლივი ტაში**). ჩვენ შეგვიძლია შევამჩნიოთ, როგორც მე უკვე ვიწინასწარმეტყველე თემთა პალატაში სამი თვის წინათ, რომ იმავე ხელმა, იმავე უაზრო შეუპოვრობამ, რომელმაც განწირა ფელდმარშალი ფონ პაულიუსი და მისი არმია სტალინგრადთან მოსასპობად, მიიყვანა ჩვენი მტრები ტუნისში ამ ახალ კატასტროფამდე.

იმ დროს, როდესაც ჩვენ ვგეგმავდით ამ დიდ ერთობლივ ოპერაციას აფრიკაში, ჩვენ ვვარაუდობდით ტუნისის ბატონ-პატრონები გავხდარიყავით ჯერ კიდევ წარსული წლის დამთავრებამდე. მაგრამ ჩვენ მიერ მტრისათვის მიყენებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჭრილობა, წვრთნა, რაც ჩვენმა ჯარებმა ომის მკაცრ სკოლაში გაიარეს, და ის, რომ ინგლისისა და ამერიკის გენერალური შტაბები ახლა ერთ მთლიანად არიან შეკავშირებულნი—ყოველივე ეს წარმოადგენს ისეთ უპირატესობას, რომელიც ბევრად აღემატება იმას, რასაც ჩვენ მოველოდით. გერმანიის სიცრუის ფაბრიკა მრავალსიტყვიანად განმარტავს, თუ რამდენად ძვირფასია ის დრო, რაც ნაყიდია ამ მრავალრიცხოვანი არმიების დაღუპვის ფასად. თავს ნუ მოიტყუებენ ილუზიებით! სხვა ოპერაციები, რომლებიც სათანადო მომენტში განვითარდებიან და რომელთა განხორციელებაც დამოკიდებულია მრავალ ჯარისკაცთა გაწვრთნასა და ტექნიკურ საშუალებთა დიდძალი მასის მიტანაზე, ოდნავაც არ შეფერხებულა ჩრდილოეთ ტუნისში მომხდარი შეუპოვარი ბრძოლებით.

ბატონო პრეზიდენტო, ომი აფრიკაში დამთავრებულია. მუსოლინის აფრიკის იმპერია და ეფრეიტორ ჰიტლერის სტრატეგია ერთნაირად ჩაიფუშენ. ყოველ შემთხვევაში, ერთი კონტინენტი სამუდამოდ გაწმენდილია ფაშისტური და ნაცისტური ტირანიისაგან.

ომი დიქტატორის აფრიკის ეშკაკურსიები მათს ქვეყნებს 950.000 მოკლულ და ტყვედ წამოყვანილ ჯარისკაცად დაუჯდათ. გარდა ამისა, ჩაძარცულია თითქმის 2.400.000 ტონა წყალწყვის სავაჭრო, გემები და მოსობილია 8.000-მდე თვითმფრინავი. ამ უკანასკნელ ორ ციფრში არ შედის დიდძალი დაზიანებული გემი და თვითმფრინავი. მტერმა დაჭკარგა აგრეთვე 6.200 ქვემეხი, 2.550 ტანკი და 70.000 ავტომანქანა. ასეთია მოწინააღმდეგის ზარალი ომის სამი წლის განმავლობაში. და რა აღმოჩნდა ახლა, როდესაც ამ წლებმა გაიარა? გერმანიის ყოყლოჩინა არმიამ თავისი უეცარი კრახით, რაც ყველა ჩვენგანისათვის მოულოდნელი იყო, კვლავ დაადასტურა შემდეგი თქმულების სამართლიანობა: „ჰუნი ან ყელში გწვდებათ, ან თქვენ ფეხქვეშ გდია“. ამ გარემოებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მომავალზე. რაც ჩვენ შეგვეხება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის გარკვეულ ეტაპს მივაღწიეთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი კონტინენტი განთავისუფლებულია. ჩრდილო - დასავლეთ აფრიკაში წარმოებული კამპანია და განსაკუთრებით მისი დამთავრება ტუნისში სამი სხვადასხვა ქვეყნის ჯარების თანამშრომლობისა და საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ძალების ერთი უმაღლესი სარდლობით გაერთიანების უაღრესად საუცხოო, დღემდე არნახულ მაგალითს წარმოადგენს. კერძოდ, როგორც უკვე ვთქვი, ინგლისისა და ამერიკის გენერალური შტაბების მუშაობა შეგვიძლია შევადაროთ ჩვენი ორი ქვეყნის ჯარისკაცთა ამხანაგობას, რომელნიც ბრძოლაში ერთად ტანჯავდნენ ნტრის ცეცხლქვეშ.

„ახლა,—განაგრძო ჩერჩილმა,—რამდენიმე წუთით დავუბრუნდები ომის ზოგად საკითხებს. თუმცა საბრალოა ის, ვინც არასოდეს არა ჰხარობს, მაგრამ, ჩვენი მოქმედების წარმატების მიუხედავად, ზეინი ხანმოკლე უნდა იყოს. ყველაზე მძიმე რამ ჯერ კიდევ წინ გვიდევს არა მარტო ევროპის სფეროში, არამედ, როგორც უკვე ვთქვი, წყნარი ოკეანის სფეროში და ინდოეთშიც. პრეზიდენტი, მე თვითონ და გაერთიანებული შტაბების უფროსები აქ იმისათვის შევიკრიბენით, რომ ეს მოქნდება, რამდენადაც ჩვენს ხელთ არის, კარგად იყოს მოფიქრებული და დაწყებულ იქნას ისე, რომ ერთი დღეც არ დაიკარგოს. რა საჭიროა ლაპარაკი, რომ სახმელეთო ომის მთავარ სომძიმეს რუსეთის არმიები იტანენ. ისინი ამჟამად თავიანთ ფრონტზე აკავებენ გერმანიის სულ ცოტა 190 დივიზიას და ვასალური ქვეყნების 28 დივიზიას. მუდამ საჭიროა სათანადოდ ვიფასებდეთ საკუთარ მიღწევებს და პროპორციის გრძნობას ვიცავდეთ. და ამიტომ აღვნიშნავ, რომ რუსეთში მყოფ გერმანიის ჯარების ამ რაოდენობას ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ დაახლოებით 15 დივიზია, რაც ჩვენ ტუნისში გავწყვეტეთ ან კამპანიის შემდეგ, რომელიც დაახლოებით 50.000 მოკლულ, დაჭრილ და უკვალოდ დაკარგულ კაცად დაგვიჯდა. ეს წარმოდგენას ვვაძლევს რუსების ღონისძიებებისას და იმისას, თუ რამდენად დავალებული ვართ რუსეთის წინაშე. შესაძლოა, რომ გერმანიისა და რუსეთის ჯარებს შორის ბრძოლის განახლება მზადდება. რუსეთმა უკვე მიაყენა გერმანიის სამხედრო ორგანიზმს ჭრილობები, და მე ვფიქრობ, რომ, საბოლოოდ, ეს ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდება. მაგრამ ნაკლებად საეჭვოა ის, რომ ჰიტლერი ემზადება უკანასკნელად სცადოს ბედი, როგორც მოთამაშემ—მესამედ სცადოს გასტეხოს სული და მოსპოს შეიარაღებული ძალები ამ მძლავრი ხალხისა, რომელზედაც მან უკვე ორჯერ მიიტანა იერიში ფიზიკურად. იგი ვერაფერს გახდება. მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც კი ჩვენს ხელთ არის, ყოველივე გონივრული და შესაძლებელი უნდა მოვიმოქმედოთ, რათა 1943 წელს მოვხსნათ რუსეთს იმ ტვირთის დიდი ნაწილი, რომელიც მას აწევს.

განზრახვა არა მაქვს რაიმე პასუხისმგებლობა ვიკისრო მტკიცებისათვის, რომ ომი უკვე მოგებულია, და რომ იგი მალე იქნება დამთავრებული, მაგრამ ერთში ვარ დარწმუნებული,—იმაში, რომ ჩვენ მას მოვიგებთ. ნაგრამ შეუძლებელია განვვრეტა და კიდევ უფრო ნაკლებად შესაძლებელია წინასწარმეტყველება იმისა, თუ როდის და როგორ იქნება ეს მიღწეული. ჩვენ ჩვენს თავს უნდა მოვთხოვოთ მთელი ძალ-ღონის დაჭიმვა და ერთობლივი მოქმედება, რათა არ დავუშვათ როგორც იაპონის წინააღმდეგ, ისე ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში უკვე ხელსაყრელად შექმნილი ვითარების შეცვლა.

ჩვენ ბევრი საშიშრობა გადავლახეთ, მაგრამ ერთი დიდი საფრთხე ბოლომდე არ მოგვცილდება,—ის საფრთხე, რომ ომი მეტსმეტად არ გაჭიანურდეს. ვერავინ ვერ იტყვის, თუ რა ახალი გართულება და რა ახალი საშიშრობა შეიძლება წარმოიშვას, ომი რომ კიდევ ხუთ წელს გაჭიანურდეს, და გერმანიისა და იაპონიის ნთავარი იმედი ახლა, ალბათ, ის არის, რომ ომი გაჭიანურდება და უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს მანამდე, სანამ დემოკრატიული სახელმწიფოები არ დაიღლებიან ან გათიშულ არ იქნებიან. ჩვენ ეს იმედი ისევე უნდა ნოვსპოთ, როგორც უკვე ბევრი სხვა იმედი მოვსპეთ, ამიტომ უნდა ვეფიქრთხილდეთ ყოველგვარ ლაპარაკს, რა მიმზიდველიც უნდა სჩანდეს იგი, და ყოველგვარ ტენდენციას, რა ბუნებრივიც უნდა იყოს ეს ტენდენციები, რასაც შეუძლია აარიდოს ჩვენი ყურადღება და ჩვენი ენერგია მთავარ მიზანს — გაერთიანებული ერების საერთო გამარჯვებას. ამ ერთად-ერთი მიზნით, სიმტკიცით, შეუპოვრობითა და ზედგრობით, რაც ჩვენ უკვე გამოვიჩინეთ წარსულში, ამ გზით და მხოლოდ ამ გზით შეგძლებთ შეასრულოთ ჩვენი მოვალეობა მსოფლიოს მომავლისა და კაცობრიობის ბედნიერების წინაშე“. (**ხანგრძლივი ტაში**).

ჩერჩილი ვაშინგტონში

ლონდონი, 21 მაისი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ჩერჩილი და რუზველტი ვაშინგტონში განაგრძობდნენ თავიანთ სამხედრო მოლაპარაკებას შტაბების უფროსებთან ერთად.

სომარი მოქმედება კუნძულ აჯუზე

ნიუ-იორკი, 21 მაისი (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს კომუნიკე იუწყება, რომ მას შემდეგ, რაც დაპყრობილ იქნა იაპონელთა აეროდროზელტი და ჩერჩილი დაესწრნენ წყნარი ოკეანის სამხედრო საბჭოს სხდომას. ამ სხდომას დაესწრო აგრეთვე კანადის პრემიერ-მინისტრი მაკენზი კინგი.

იუზა ზარდალიშვილი

ქ. ქუთაისში გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი იუზა ზარდალიშვილი.

ი. ზარდალიშვილი ეკუთვნოდა ქართული თეატრის მოღვაწეთა იმ თაობას, რომელმაც თავისი მხრებით ზიდა რევოლუციამდელი ქართული თეატრის ძმიმე ტვირთი. იუზა ფრანცის-ძე ზარდალიშვილი დაბადა 1866 წელს ქ. ქუთაისში. მამა-მისი იყო ქუთაისის კათოლიკეთა სკოლის მასწავლებელი. იუზა პატარა იყო, როცა მამა გარდაეცვალა. რვა წლისა რომ გახდა, დედამ იგი კათოლიკეთა სკოლაში მიაბარა. მაგრამ უსახსრობის გამო მალე იძულებული იყო სწავლისათვის თავი მიენებებინა. ამის შემდეგ იუზა საკონდიტროში მიაბარეს შეგირდად. აქედან ბათუმში გაეგზავნა ბიძასთან, რომელმაც იგი როტშილდის ქარხანაში მოაწყო მუშად.

ქარხანაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ იუზა მეზღვაურად მიიღეს გემზე, სადაც დაჰყო ორ წელიწადს. ბათუმში ყოფნის დროს ი. ზარდალიშვილმა გაიცნო ქართული სცენის სასიქადულო მოღვაწე ლადო მესხიშვილი, რომელიც ქუთაისიდან იყო ჩასული გასტროლიორად. იდგმებოდა „ედმონდ კინი“. ლ. მესხიშვილმა სთხოვა მას მონაწილეობა მიეღო სპექტაკლში, როგორც თანამშრომელს. აი, ამ გარემოებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ი. ზარდალიშვილის მთელს შემდგომ ცხოვრებაზე.

ბათუმიდან იუზა ბრუნდება ქუთაისში, სადაც ლ. მესხიშვილმა მიიღო თანამშრომლად თეატრში. ეს იყო 1899-1900 წლის სეზონში. ამის შემდეგ მთელი რვა წლის განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის სცენაზე. 1909-10 წლის სეზონში მიიწვიეს თბილისში, სადაც დაჰყო 12 წელიწადი (ამ ხნის განმავლობაში ერთი სეზონი ქუთაისში და ორი ბაკოში გაატარა). ამავე ხანებში სეზონის დამთავრების შემდეგ მისი ინიციატივით ეწყობოდა მსახიობთა ამხანაგობები, სადაც ხშირად იყო რეჟისორად და დასის ხელმძღვანელად.

1912 წელს თბილისის დრამატიულმა საზოგადოებამ ი. ზარდალიშვილი მიავლინა მოსკოვს და პეტერბურგს, თეატრების გასაცნობად.

ლადო მესხიშვილთან შეხვედრამ სამუდამო კვალი დასტოვა ი. ზარდალიშვილის ცხოვრებაში. ლადომ მალე აუღო ალღო იუზას ნიჭს და მფარველობას არ აკლებდა მას. მალე იუზა იმდენად დახელოვნდა, რომ ლადოს დუბლიორი გახდა თითქმის ყველა კლასიკურ როლში. მან შეითვისა ლადოს სასცენო ხერხები და ბევრ როლში მისი ღირსეული შემცვლელი შეიქმნა. ასეთებია, მაგალითად, ფრანც მოორი შილერის „ყაჩაღებში“, ედმონდ კინი, ურიელ აკოსტა, ჰამლეტი, ედგარი, ჩაკეი, რასკოლნიკოვი და სხვ.

ი. ზარდალიშვილის ნიჭსა და მჩქეფარე ენერგიას განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დამყარების შემდეგ. ი. ზარდალიშვილი იყო ერთი პირველთაგანი საათეატრო ოსტატებიდან, რომელიც თავიდანვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. სამ-

თვალოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ი. ზარდალიშვილი დაინიშნა თბილისის ყველა თეატრის კომისრად, ხოლო შემდეგ კი რუსთაველის სახელობის თეატრის კომისრად.

1923 წელს ი. ზარდალიშვილი ინიშნება ქუთაისის თეატრის დასის გამგედ. 1925-26 წელს მისი ხელმძღვანელობით ქ. ფოთში პირველად ჩამოყალიბდა სახელმწიფო დრამატიული თეატრი.

შემდეგ სახელოვანმა კოტე მარჯანიშვილმა იგი მიიწვია ქუთაისის თეატრში.

ლადო მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრის ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე ი. ზარდალიშვილი მუშაობს იქ მსახიობად და დასის გამგედ. იქ მან მრავალი ღირსშესანიშნავი მხატვრული სახე შეაქმნა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა იუზა ზარდალიშვილის დიდი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა: 1932 წელს ნაკმიენჯა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1940 წელს—სახალხო არტისტის სახელწოდება. იუზა ზარდალიშვილი იყო მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს ხელოვნების მუშაკები ჯულისტეკიანელი შეხვდებიან ცნობას იუზა ზარდალიშვილის გარდაცვალების შესახებ. თვალსაჩინოა მისი დანაკლისი ქართული თეატრისათვის. მშობლიური ხელოვნება არ დაივიწყებს მის სახელს.

ბ. გოგუა, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ნ. ჩხეიძე, შ. დადიანი, პ. კანდელაკი, დ. ანთაძე, ი. გვინჩიძე, გ. დავითაშვილი, შ. ღამბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. გოცირიძე, დ. მეგვია, ნ. ჯავახიშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ტ. აბაშიძე; მ. ჭიაურელი, ა. თაყაიშვილი, ნ. გვარაძე, მ. ქორელი, პ. მურღულია, პ. ფრანგიშვილი, ვ. მურღულია, დ. ძნელაძე, ნ. გოძიაშვილი, ხ. ჭელიძე, ხ. ცომაია, შ. ბუაჩიძე.

ქ. ა. ჭიმირიაზევის დაბადების 100 წლისთავის გამო

3 ივნისს სრულდება ქ. ა. ტიმირიაზევის დაბადების 100 წლისთავი. ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებანი ფართოდ აღნიშნავენ ამ თარიღს. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან, ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბუნებისმეტყველთა მოსკოვის საზოგადოებასთან ერთად საზეიმო სხდომას აწყობს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ განყოფილებაში, ტიმირიაზევის სახელობის აკადემიასა და მოსკოვის უნივერსიტეტში სამეცნიერო სესიები მოეწყობა.

(საკადესი).

ლექციები ⅓ მოხსენებები

შაბათს, 22 მაისს, საღამოს 7½ ს., მწერალთა კავშირში **დემნა შენგელაია** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„ამირანი და მისი სიუჟეტის გენეზისი“.**

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის (ფუნიკულიორის პლატო) სალექციო დარბაზში 23 მაისს ამბ. **ფრიშენბერგი** გააკეთებს მოხსენებას: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

დასაწყისი საღ. 6 საათზე. დასწრება თავისუფალია.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3085515, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მიერ მარიამ ვიქტორის-ასულ **ვეფხვაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო მწუხარებით იუწყება ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის
იუზა ფრანცის-ძე ზარდალიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 23/V, 5 ს. 1186

რუსთაველის თეატრის კოლექტივი იუწყება რესპ. სახალხო არტისტის
იუზა ფრანცის-ძე ზარდალიშვილის
გარდაცვალებას. 1180

მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს რესპუბლიკის სახალხო არტისტის
იუზა ზარდალიშვილის
გარდაცვალების გამო.

საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპ. კომიტეტი იუწყება რესპუბლიკის სახალხო არტისტის
იუზა ფრანცის-ძე ზარდალიშვილის
გარდაცვალებას. 1185

შვილები თამარ, ჟენია, ლილი იუწყებიან
დავით გიორგის-ძე ჯაშუხაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/V, 8 ს. ქალ. II საავადმყოფოს პროზექტორაში. გამოსვენება 23/V, 5 ს. 1181

მეუღლე მარგარიტა, შვილი ნუნუ, დედა ელისაბედ, დები გაფინო, ქსენია, შურა, ლიდა, ძმა ნიკოლოზ ი